ზოგიერთი მოსაზრება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შესახებ

ირაკლი აბაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული სხვადასხვა სახის პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ხარვეზებით გამოწვეულ მნიშვნელოვან პრობლემებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე. გარკვეული ყურადღება დაეთმო ხარვეზების აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების მიზანშეწონილობის საკითხს.

SOME THOUGHTS ON THE LOOPHOLES IN CRIMINAL PROCEDURAL LAW

Irakli Abashidze
Phd student Of TSU

RESUME

The presented Article discusses the various practical and legal flaws in the current Criminal Procedure Code of Georgia. The main focus is on crucial problems caused by defects and ways to eliminate them. Some attention was paid to the question of the appropriateness of the legislative changes to be implemented to eliminate the shortcom.

* * * *

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2010 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც მასში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებებითა და დამატებებით, საფუძვლიანად შეცვალა გარკვეულ საკითხებთან მიმართებით ადრე არსებული მიდგომა და სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტის სახით ბევრი საინტერესო ნოვაცია და პროგრესული სიახლე შესთავაზა ქართულ საზოგადოებას. ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, განპირობებული იყო კანონმდებლობის სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვითა და საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების ახლებური გააზრებით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კანონმდებლის მისწრაფებისა - კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა და განევითარებინა კანონმდებლობა, ცალკეულ საპროცესო სამართლებრივ ნორმებთან მიმართებით კვლავ მრავლად ვხვდებით არსებითი ხასიათის პრაქტიკულ და საკანონმდებლო ხარვეზებს, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ დახვეწას. ამ თვალსაზრისით გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილო რამდენიმე საკითხზე, რომელებიც ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავს და აღნიშნულთან დაკავშირებით გაგაცნობთ ჩემს მოსაზრებებს.

1. უპირველეს ყოვლისა, დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ადგილი აქვს სამართალწარმოების პროცესში მონაწილე პირთა გარკვეული კატეგორიის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციას. მოცემულ შემთხვევაში საუბარია საქართველოს სსს კოდექსის 28-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ დასაქმებულ პირს ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ანაზღაურება.[1] როგორც ვხედავთ, ზემოხსენებული ნორმა მიღებულია მხოლოდ დასაქმებულთა ეკონომიკური დაცვის, მაგრამ არა თვითდასაქმებული პირების დაცვის მიზნით[2] და ეს ყოველივე კი იმ დროს, როცა საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი არის თვითდასაქმებული.[3] გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმო და გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მაშინ როდესაც ორივე ერთსა და იმავე საჯარო ფუნქციას ასრულებს, კანონმდებელი უპირატესობას დასაქმებულ პირს ანიჭებს, რაც თავის მხრივ ადამიანებისადმი უთანასწორო მოპყრობისა და არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენების პირდაპირი გამოხატულებაა და რასაც არავითარი ობიექტური და გონივრული გამართლება არ აქვს.

1 თბილისი 2022 წელი.(ამჟამინდელი რედაქცია)

2 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა. თბილისი 2020 წლის 2 ნოემბერი. გვ. 18

3 გიგუაშვილი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და დემოკრატია. ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ №4. თბილისი 2020 წლის 4 ოქტომბერი.https://www.gba.ge/ka/

აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა შეიცვალოს კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული მიდგომა და ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს როგორც დასაქმებული, ასევე თვითდასაქმებული პირიც უნდა იქნას უზრუნველყოფილი სოციალური გარანტიებით. ასევე შესაძლებელია, რომ თვითდასაქმებული პირი საერთოდ გათავისუფლდეს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან, მით უფრო იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების გათავისუფლების შემთხვევები სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით ასევე ხშირია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.[4]

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უმეტესწილად ჭიანურდება ასევე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურა, რაც თავის მხრივ ნეგატიურად აისახება საქმის განხილვის მიმდინარეობასა და საბოლოო შედეგებზე. გარდა ამისა, ის უარყოფით გავლენას ახდენს ნაფიც მსაჯულთა მოტივაციასა და მიუკერძოებლობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემადგენლობის შესარჩევად სასამართლოს უხდება დამატებითი შერჩევის რამდენიმე სხდომის ჩატარება-აღნიშნული პროცედურა დაახლოებით 5-დან 8-მდე შერჩევის სხდომას საჭიროებს.

ერთის მხრივ, თვით ნაფიც მსაჯულობის კანდიდატები ცდილობენ სხვადასხვა მიზეზის დასახელებით (თავისი ან ოჯახის წევრის ავადმყოფობა, სამსახური, მცირეწლოვანი შვილები, საზღვარგარეთ გამგზავრება და ა.შ.) თავი აარიდონ ნაფიც მსაჯულის მოვალეობის შესრულებას და აცხადებენ თვითაცილებას, ხოლო მეორეს მხრივ, დაცვის მხარე ცდილობს საპროცესო თუ საპატიმრო ვადის გასვლის მოტივით განაცხადოს დასაბუთებული თუ დაუსაბუთებელი აცილება და ხელოვნურად გააჭიანუროს პროცესი. ყოველივე ამას შეიძლება 5-6 თვე ან ზოგჯერ უფრო მეტი დრო დასჭირდეს, რასაც უმეტეს შემთხვევაში ცხრათვიანი საპატიმრო ვადის გასვლა და ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლება მოსდევს.

ამასთან ერთად, აღკვეთი ღონისძიების გაუქმების გამო, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ბრალდებული პირი რჩება აღკვეთი ღონისძიების გარეშე. არსებული ვითარების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ უნდა შევიდეს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და განისაზღვროს კონკრეტული ვადები, რაც უფრო ეფექტურს გახდის ნაფიც მსაჯულთა შერჩევას და არ გამოიწვევს ზედმეტი დროისა და ფინანსური სახსრების ფუჭ ხარჯვას.

3. შემდეგი საკითხი, რომელსაც თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა შევეხო, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საკითხია, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში შესაძლებელია ჩაერთოს პროკურორის ან გამომძიებლის გადაწყვეტილებით.[5] ჩვენი შეხედულებით, ამ ინსტიტუტის შემოღება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მოწმისა და დაზარალებულის ინტერესების დაცვის კუთხით, მაგრამ კანონმდებლის მიერ აღნიშნულ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გაუმართლებელია, რადგან პროკურორისა და გამომძიებლის მხრიდან ყოველთვის არსებობს და შემდგომშიც იარსებებს ამ უფლების სათავისოდ გამოყენების მაღალი რისკი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია შეგნებულად თქვან უარი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი რასაკვირველია გამოიწვევს მოწმისა და დაზარალებულის უფლებების უხეშ დარღვევას-ინფორმირებულნი იყვნენ გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ და დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირების მიზნით მიიღონ ემოციური მხარდაჭერა. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ვთვლი, რომ სწორი იქნება აღმოიფხვრას აღნიშნული ხარვეზი და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთოს არა პროკურორის ან გამომძიებლის გადაწყვეტილებით, არამედ ეს უნდა მოხდეს კანონით - რეალური საჭიროების საფუძველზე.

4. ზემოთ განხილული საკითხების გარდა, მსურს თქვენი ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხზე, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. აქ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოსამართლის წინასწარი ნებართვითა თუ მის გარეშე, გამომძიებლის მიერ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებულ ჩხრეკასა და ამოღებასთან, რომელიც რიგ შემთხვევებში ხელყოფს როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ასევე სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებსა და პირადი მიმოწერის კონფიდენციალურობას.

ასე, მაგალითად, ადვოკატის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მის საადვოკატო ბიუროში ჩატარდა ჩხრეკა და ამოიღეს ბრალდებულის პერსონალური კომპიუტერი, რომელშიც დანაშაულის ჩადენის მამხილებელ მტკიცებულებებთან ერთად ინახებოდა სხვა-

4 იხილეთ დასახელებული ნაშრომი https://www.gba.ge/ka/

5 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58[1] მუხლი. თბილისი 2022 წელი.(ამჟამინდელი რედაქცია)

დასხვა სისხლის სამართლის საქმეზე ამ უკანასკნელისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების პირადი მიმოწერა და პერსონალური ინფორმაცია. გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპიუტერში ასევე ინახებოდა პირადი ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც კავშირი არა აქვს გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმესთან.

ამ შემთხვევაში, ცხადია, კანონით უნდა განადგურდეს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც არ ეხება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს, მაგრამ აქ მაინც არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ პოლიცია თუ ოპერატიულ-სამძებრო სამსახურები ამ გზით მოპოვებულ ინფორმაციას რაღაც ფორმით გამოიყენებენ მათ წინააღმდეგ, რაც სავსებით მიუღებელი და არამართებულია. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფოს მხრიდან არსებობდეს როგორც პერსონალური მონაცემებისა და პირადი მიმოწერის კონფიდენციალურობის, ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მეტი გარანტია და დროა კანონმდებელმა იფიქროს უფრო ეფექტური მექანიზმებისა და მარეგულირებელი ნორმების შემუშავებაზე, რომელიც შემდგომში გამორიცხავს ასეთი ფაქტების არსებობას.

5. ბოლოს კი უნდა შევჩერდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168² მუხლთან მიმართებით არსებულ ხარვეზზე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: აღნიშნულ მუხლში ნათლად არ არის აღწერილი თუ რამდენჯერ და რა წინაპირობების გათვალისწინებით არის შესაძლებელი განრიდების განმეორებით გამოყენება, რამაც შესაძლებელია შექმნას გარკვეული პრობლემები პრაქტიკული თვალსაზრისით. თუმცა, ეს ყოველივე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს განრიდების განმეორებით გამოყენების შესაძლებლობას, იმ ბრალდებულებთან მიმართებით, რომელთაც უკვე გაქარწყლებული აქვთ წინათ ჩადენილი ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ფაქტზე გამოყენებული განრიდება. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის აღნიშნული ინსტიტუტი

პროკურატურის მიერ პრაქტიკაში აქტიურად ხორციელდება. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით უფრო უპრიანი და მართებული იქნება თუკი მუხლში მკაფიოდ გაიწერება განრიდების განმეორებით გამოყენებისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც შემდგომში თავიდან აგვაცილებს გარკვეულ გაუგებრობებს.

ამრიგად, ზემოთხსენებული საკითხების დეტალური განხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საკმაოდ მნიშვნელოვანი და არსებითი ხასიათის ბევრი საკანონმდებლო ხარვეზია, რომელთა დროული აღმოფხვრა და გამოსწორება, უსათუოდ შეუწყობს ხელს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი 2022 წელი.(ამჟამინდელი რედაქცია)

2.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა. თბილისი 2020 წლის 2 ნოემბერი. გვ. 18

3. ამირან გიგუაშვილი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და დემოკრატია. ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ №4.თბილისი 2020 წლის 4 ოქტომბერი. https://www.gba.ge/ka/